

ცენტრალური ზონისთვის ატმოსფერული  
ჰაერის ხარისხის მართვის 2023-2025  
წლების გეგმის  
2025 წლის მონიტორინგის ანგარიში



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

## სარჩევი

მოკლე შეჯამება.....	3
შესავალი .....	5
ზოგადი პროგრესი.....	7
დეტალური პროგრესი 1.1 ამოცანასთან დაკავშირებით .....	16
დეტალური პროგრესი 1.2 ამოცანასთან დაკავშირებით .....	19
დეტალური პროგრესი 1.3 ამოცანასთან დაკავშირებით .....	22
დეტალური პროგრესი 1.4 ამოცანასთან დაკავშირებით .....	24
გამოწვევები და რეკომენდაციები.....	26
კონსოლიდირებული სტატუსანგარიში.....	28

## მოკლე შეჯამება

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 7 აგვისტოს N1431 განკარგულებით დამტკიცებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის 2023-2025 წლების გეგმა ცენტრალური ზონისთვის წარმოადგენს სექტორული მიმართულების პოლიტიკის დოკუმენტს. გეგმა მიზნად ისახავს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგისა და მართვის ცენტრალურ ზონაში, რომელიც მოიცავს ქვემო და შიდა ქართლის რეგიონსა და მცხეთის მუნიციპალიტეტს, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს სამოქმედო გეგმის აქტივობების შესრულების შესახებ ინფორმაციას 2025 წლის 1 იანვრიდან - 2025 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს. ანგარიშის პროექტი განხილული და შეთანხმებულ იქნა ცენტრალური ზონის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების ხელშემწყობი სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ.

ცენტრალურ ზონაში განთავსებული იყო ჰაერის ხარისხის მონიტორინგის 2 ავტომატური სადგური. ძველ რუსთავში განთავსებულ სადგურზე PM<sub>10</sub>-ის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 51 მკგ/მ<sup>3</sup>, ხოლო PM<sub>2.5</sub>-ისამ - 26 მკგ/მ<sup>3</sup>, რაც ნორმას აჭარბებს 28%-ით და წარმოადგენს მცირედ გაუმჯობესებას 2022 წლის, საბაზისო მონაცემებთან (PM<sub>10</sub> - 55 მკგ/მ<sup>3</sup>, PM<sub>2.5</sub> - 27 მკგ/მ<sup>3</sup>) შედარებით. აღნიშნული გაუმჯობესება დიდწილად გამოწვეულია მსხვილი სამრეწველო ობიექტების მხრიდან დაწესებული საკანონმდებლო რეგულაციების უკეთესი აღსრულებით. მყარი ნაწილაკების კონცენტრაცია ზღვრულად დასაშვებ ნორმას ასევე აჭარბებს ახალ რუსთავში განთავსებულ სადგურზე (PM<sub>10</sub>-ისა 11%-ით, ხოლო PM<sub>2.5</sub>-ისა 8%-ით).


ცენტრალურ ზონაში აზოტის დიოქსიდის (NO<sub>2</sub>) საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ 2025 წელს გადააჭარბა ნორმას საბაზისო დონესთან შედარებით 1-ით ნაკლებ მონიტორინგის პუნქტზე, კერძოდ ქ. ხაშურში NO<sub>2</sub>-ის კონცენტრაცია ნორმის ფარგლებშია. შედეგად, მიღწეული იქნა სამიზნე მაჩვენებელი და ნორმის გადაჭარბება ამ ეტაპზე 3 დაკვირვების პუნქტზე ფიქსირდება ქ. რუსთავსა და ქ. მარნეულში. ქ. რუსთავში დაფიქსირებული გოგირდის დიოქსიდისა (SO<sub>2</sub>)-ისა და ნახშირბადის მონოქსიდის (CO) საშუალო კონცენტრაცია არ აჭარბებს ნორმას, ამასთან დაფიქსირდა ოზონის (O<sub>3</sub>) დღიურ ნორმაზე გადაჭარბების ჯამში 9 შემთხვევა ქ. რუსთავის ორივე სადგურზე, თუმცა სამ წლიან ჭრილში აღნიშნული მაგნი ნივთიერება ნორმის (25 გადაჭარბება) ფარგლებშია, რადგან გასულ წლებში გადაჭარბება არ დაფიქსირებულა. მძიმე მეტალებისა და ბენზ(ა)პირენის კონცენტრაციის დადგენის მიზნით ხორციელდება მიღებული სინჯების ანალიზი.

ცენტრალურ ზონაში მდებარე სტაციონარული წყაროებიდან მყარი ნაწილაკების გაფრქვევები საბაზისო წელთან შედარებით 2025 წელს დაახლოებით 50%-ით შემცირდა, რაც ძირითადად წარმოადგენს ადგილზე არსებული სამრეწველო ობიექტების მიერ ჰაერდაცვითი მოთხოვნების უკეთ აღსრულებისა და გაუმჯობესებული ზედამხედველობის შედეგია. ბოლო, 2024 წლის მონაცემებით 2021 წელთან შედარებით ტრანსპორტის სექტორიდან აზოტის დიოქსიდის გაფრქვევები შემცირებულია 5%-ით 1 ერთეულ ავტომობილზე გადათვლით, თუმცა გაზრდილი სატრანსპორტო მობილობიდან გამომდინარე აღნიშნული მაჩვენებელი გაუარესებულია 2022 წელთან შედარებით. საანგარიშო წელს ცენტრალურ ზონაში

ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ჰაერის დაბინძურების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების სისტემის გაუმჯობესების კუთხით მდგომარეობა უცვლელია. ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლების კუთხით აღსანიშნავია, რომ 2023-2025 წლებში ჩატარებულ გარემოსდაცვით ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 1358-მა მონაწილემ, რაც 2.7-ჯერ აჭარბებს სამიზნე მაჩვენებელს.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განხორციელდა სამოქმედო გეგმის აქტივობათა 48% (13 აქტივობა), მეტწილად შესრულდა აქტივობების 33% (9 აქტივობა), ხოლო ნაწილობრივ შესრულდა - 11% (3 აქტივობა). არ დაწყებულა 2 აქტივობის განხორციელება. საანგარიშო პერიოდში სამოქმედო გეგმის აქტივობების განხორციელების პროგრესმა შეადგინა 76%.

გეგმის აქტივობების განხორციელების დონე 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



ამოცანების ჭრილში განხორციელებული აქტივობების მიხედვით 1.4 ამოცანა სრულად იქნა შესრულებული, აგრეთვე მნიშვნელოვანი პროგრესი დაფიქსირდა 1.2 ამოცანის აქტივობების განხორციელების კუთხით. დაგეგმილი ყველა აქტივობა განხორციელდა მარნეულის მუნიციპალიტეტმა და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა, ასევე, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის აქტივობათა პროგრესი აღემატება 90%-ს. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების სისტემის გაუმჯობესების კუთხით აქტივობები შედარებით ნაკლები პროგრესით გამოირჩევა, რაც ძირითადად განპირობებულია დაფინანსების არარსებობითა და შესაბამისი პროექტების განხორციელების გაჭიანურებით.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ მნიშვნელოვან აქტივობებს შორის აღსანიშნავია ცენტრალურ ზონაში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სისტემის გაძლიერების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები. კერძოდ, განხორციელდა 469 საქმიანობის სუბიექტის 558 ინსპექტირება, მათ შორის, 67 ინსპექტირება ქ. რუსთავში. ამასთანავე, ცენტრალური ზონის მუნიციპალიტეტებმა ჩაატარეს 206 ინსპექტირება ამტვერებადი მასალის

დამუშავების, განთავსებისა და ტრანსპორტირების წესების ზედამხედველობის მიზნით. ქ. რუსთავში ქუჩების სველი წესით დამუშავება რეგულარულად მიმდინარეობდა 30 კმ-ზე.

ცენტრალურ ზონაში 2025 წელს მოეწყო/რეაბილიტირდა 45 რეკრეაციული ზონა, რეაბილიტირდა 178 ათას მ<sup>2</sup> გზის საფარი და 21.7 ათასი მ<sup>2</sup> ტროტუარი, მოეწყო ველობილიკები 3.1 ათას მ<sup>2</sup>-ზე მეტ ფართობზე. დაირგო 3.5 ათასზე მეტი ძირი ხე-მცენარე. მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის 42 გაჩერებას. ქ. რუსთავში დამონტაჟდა ელექტრომობილების დამტენი 10 მოწყობილება.

ცენტრალურ ზონაში დაიწყო საერთაშორისო მნიშვნელობის გზაზე სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის კონტროლი, ხოლო ქ. რუსთავში ავტომობილებიდან გამონაბოლქვის დადგენილ ნორმასთან შეუსაბამობის 642 ფაქტი იქნა გამოვლენილი. ავტოგასამართი სადგურიდან აღებულ იქნა დიზელის და ბენზინის 25 სინჯი საწვავის ხარისხის შემოწმების მიზნით.

ევროკავშირის პროექტის ფარგლებში შეძენილ იქნა 3 ჰაერის ხარისხის ავტომატური მონიტორინგის სადგური. ჰაერის დაცვის საკითხებზე ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები ცენტრალური ზონის 5 სკოლაში. ორგანიზებული იქნა ესეების კონკურსი „ჩემი წილი სუფთა ჰაერი“ და ქ. რუსთავში, ჩატარდა ხეების დარგვის აქცია.

სამრეწველო სექტორიდან მყარი ნაწილაკებით დაბინძურების პრევენციისთვის საჭიროა აქტიური საზედამხედველო საქმიანობის გაგრძელება, ხოლო გრძელვადიან პერიოდში საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის ეტაპობრივი დანერგვა. სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს აგრეთვე დაბინძურების სხვა წყაროებს, მათ შორის ამტვერებადი მასალების დამუშავების, განთავსებისა და ტრანსპორტირების საქმიანობას. აზოტის დიოქსიდით დაბინძურების შესამცირებლად გეგმაში არსებული აქტივობების განხორციელებასთან ერთად აუცილებელია დამატებით აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება ეროვნულ დონეზე. საჭიროა ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სადგურების მონტაჟის მიმდინარე საქმიანობის დროული დასრულება და აგრეთვე, პრიორიტეტულია ჩატარდეს მყარი ნაწილაკებით დაბინძურების წილის დადგენის შესახებ კვლევა.

## შესავალი

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 7 აგვისტოს N1431 განკარგულებით დამტკიცებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის 2023-2025 წლების გეგმა ცენტრალური ზონისთვის წარმოადგენს სექტორული მიმართულების პოლიტიკის დოკუმენტს. გეგმა მიზნად ისახავს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას ცენტრალურ ზონაში, რომელიც მოიცავს შემდეგ მუნიციპალიტეტებს: ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის, მცხეთის, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის და თვითმმართველ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი. აღნიშნული მიზნის შესაბამისად სამოქმედო გეგმა აერთიანებს ოთხ ამოცანას, რომელთა განხორციელებაზე პასუხისმგებლები არიან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებები, სხვა სამთავრობო უწყებები და ქ. რუსთავის, მარნეულის და ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია. ეს ამოცანებია:

- ამოცანა 1.1 - ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის მყარი ნაწილაკებით დაბინძურების შემცირება
- ამოცანა 1.2 - ცენტრალურ ზონაში ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან დაბინძურების შემცირება
- ამოცანა 1.3 - ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ჰაერის დაბინძურების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების სისტემის გაუმჯობესება
- ამოცანა 1.4 - ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლება

წინამდებარე მონიტორინგის ანგარიში მოიცავს სამოქმედო გეგმის ამოცანებისა და აქტივობების შესრულების შესახებ დეტალურ ინფორმაციას 2025 წლის 1 იანვრიდან - 2025 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში.


მონიტორინგის ანგარიში შემუშავდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტის ატმოსფერული ჰაერის სამმართველოს კოორდინირებით პასუხისმგებელი უწყებებისგან მიღებული სტატუს ანგარიშების საფუძველზე. ანგარიში შესაბამისობაშია „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილებით განსაზღვრულ წლიური ანგარიშის შემუშავების მეთოდოლოგიასთან.

ანგარიშის პროექტი განხილული და შეთანხმებულ იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 31 ოქტომბრის N2-812 ბრძანების საფუძველზე შექმნილი ცენტრალური ზონის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების ხელშემწყობი სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ.


## ზოგადი პროგრესი

როგორც უკვე აღინიშნა სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას, რაც გულისხმობს ყველა ძირითადი მავნე ნივთიერების, განსაკუთრებით კი უმცირესი ზომის მყარი ნაწილაკების (PM<sub>10</sub>, PM<sub>2.5</sub>) საშუალო კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვები ნორმების ფარგლებში მოქცევას. მონიტორინგის შედეგად მიღებული 2025 წლის მაჩვენებლების ანალიზით ირკვევა, რომ ცენტრალურ ზონაში, კერძოდ ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობა საბაზისო დონესთან (2022 წ.) შედარებით მცირედით გაუმჯობესებულია, თუმცა ეს გაუმჯობესება არ ასახულა გავლენის ინდიკატორზე, რადგან მყარი ნაწილაკების საშუალო წლიური კონცენტრაცია მაინც აჭარბებს ზღვრულად დასაშვებ ნორმას მონიტორინგის სადგურებზე.

მყარი ნაწილაკების კონცენტრაცია ქ. რუსთავში, ბათუმის ქუჩაზე




მყარი ნაწილაკების კონცენტრაცია ქ. რუსთავში, მეგობრობის გამზ.-ზე



ცენტრალურ ზონაში საანგარიშო სრული პერიოდის განმავლობაში განთავსებული იყო ჰაერის ხარისხის მონიტორინგის 2 ავტომატური სადგური, რომელიც უწყვეტ რეჟიმში ზომავდა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებებთან, მათ შორის მყარი ნაწილაკების (PM<sub>10</sub>, PM<sub>2.5</sub>) კონცენტრაციას. სადგური განთავსებულია ქ. რუსთავში (ძველ რუსთავში), ბათუმის ქუჩაზე, რომლის მიხედვით PM<sub>10</sub>-ის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 51.1 მკგ/მ<sup>3</sup>, ხოლო PM<sub>2.5</sub>-ისამ - 25.7 მკგ/მ<sup>3</sup>. აღნიშნული მაჩვენებლები აჭარბებს PM<sub>10</sub>-ისა და PM<sub>2.5</sub>-ის ზღვრულად დასაშვებ ნორმას (40 მკგ/მ<sup>3</sup> და 20 მკგ/მ<sup>3</sup>) 28%-ით. აღნიშნული მაჩვენებლები შესაბამისად 7% და 4%-

ით ნაკლებია საბაზისო 2022 წელთან შედარებით, ხოლო 2019 წელთან შედარებით - 19% ორივე ფრაქციისთვის.

ქ. რუსთავში (ახალ რუსთავში), N20 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ სადგურზე PM<sub>10</sub>-ის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 44.5 მკგ/მ<sup>3</sup>, ხოლო PM<sub>2.5</sub>-ისამ - 21.7 მკგ/მ<sup>3</sup>. აღნიშნული მაჩვენებლები აჭარბებს PM<sub>10</sub>-ის ზღვრულად დასაშვებ ნორმას 11%-ით, და PM<sub>2.5</sub>-ის ნორმას 8%-ით,




ნორმებს (35 დღე) აღემატება PM<sub>10</sub>-ის დღიური კონცენტრაციის გადაჭარბების შემთხვევები ქ. რუსთავში. ბათუმის ქუჩაზე (ძველ რუსთავში) მდებარე სადგურზე გადაჭარბებების რაოდენობამ 2025 წელს 150 დღე შეადგინა, ხოლო მეგობრობის გამზირზე (ახალ რუსთავში) – 113 დღე. უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წელთან შედარებით (187 გადაჭარბება) ეს მაჩვენებელი ასევე მცირედითაა გაუმჯობესებული.

ქ. რუსთავში მყარი ნაწილაკების კონცენტრაციას მნიშვნელოვნად განაპირობებს სინოპტიკური პროცესები - საქართველოს ტერიტორიაზე უდაბნოს მტვრის ნაწილაკების შემცველი ჰაერის მასების გავრცელებით. ძველ რუსთავში PM<sub>10</sub>-ის დღიური ნორმის გადაჭარბების 150 შემთხვევიდან 114, ხოლო ახალ რუსთავში 113 შემთხვევიდან 94 სწორედ ტრანსსასაზღვრო დაბინძურებით იყო განპირობებული. ყველაზე გრძელი ტრანსსასაზღვრო დაბინძურების ეპიზოდი დაფიქსირდა 2025 წლის 6 ნოემბრიდან 1 დეკემბრის ჩათვლით, რაც დაკავშირებული იყო საქართველოს სამხრეთიდან უდაბნოს მტვრის გავრცელებასთან. აღნიშნულმა ეპიზოდმა მეტწილად განაპირობა მყარი ნაწილაკების ზღვრულად დასაშვებ წლიურ ნორმებზე გადაჭარბება ახალ რუსთავში მდებარე სადგურზე.

საბაზისო მდგომარეობასთან შედარებით გაუმჯობესებული საშუალო წლიური ხარისხობრივი მაჩვენებლები სავარაუდოდ განპირობებულია მსხვილი სამრეწველო ობიექტების მხრიდან დაწესებული საკანონმდებლო რეგულაციების უკეთესი აღსრულებით, ნაწილობრივ კი საწარმოთა ნაწილის ფუნქციონირების დროებითი შეჩერებით. ამასთან,

ჰაერის ხარისხის მონიტორინგის მონაცემები მიუთითებს, რომ შესაძლოა ბათუმის ქუჩაზე (ძველ რუსთავში) მდებარე სადგური 2025 წლის პირველ ნახევარში განიცდიდა სადგურის სიახლოვეს მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამშენებლო სამუშაოების გავლენას, რაც აისახა ახალი რუსთავის სადგურთან შედარებით მყარი ნაწილაკების, განსაკუთრებით კი PM<sub>10</sub>-ის მოჭარბებული კონცენტრაციით. PM<sub>2.5</sub>-ის კონცენტრაცია კი ბათუმის ქუჩაზე (ძველ რუსთავში) მდებარე სადგურზე, რომელიც სიახლოვიდან გამომდინარე განიცდის ტრანსპორტისა და სამრეწველო ობიექტების უფრო მეტ ზეგავლენას, ტრადიციულად უფრო მაღალია, ვიდრე მეგობრობის გამზირზე (ახალ რუსთავში).

ცენტრალური ზონაში NO<sub>2</sub>-ის წლიური საშუალო კონცენტრაცია



ცენტრალურ ზონაში NO<sub>2</sub>-ის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ 2025 წელს გადააჭარბა ნორმას (40 მკგ/მ<sup>3</sup>) მონიტორინგის სამ პუნქტზე, კერძოდ ქ. რუსთავის ორ და მარნეულის ერთ ინდიკატორული დაკვირვების პუნქტზე. ქ. რუსთავში აზოტის დიოქსიდის კონცენტრაციამ შეადგინა 49 მკგ/მ<sup>3</sup> და 44 მკგ/მ<sup>3</sup>, ქ. მარნეულში კი 55 მკგ/მ<sup>3</sup>. ქ. ხაშურში NO<sub>2</sub>-ის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ 34 მკგ/მ<sup>3</sup> შეადგინა და წინა წლებისგან განსხვავებით იგი ნორმის ფარგლებშია. ეს გაუმჯობესება დიდწილად დაკავშირებულია ქ. ხაშურისა და სურამის შემოვლითი გზის გახსნასთან, რამაც შეამცირა ქ. ხაშურში ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გადაადგილება.

აღსანიშნავია, რომ ქ. რუსთავში აზოტის დიოქსიდის ფონური კონცენტრაციები ნორმის ფარგლებშია, რაც მიუთითებს იმას, რომ გადაჭარბებები, რომელიც საავტომობილო გზების მიმდებარედ ფიქსირდება სწორედ განპირობებულია ტრანსპორტიდან დაბინძურებით.

NO<sub>2</sub>-ის საშუალო წლიური ფონური კონცენტრაცია ქ. რუსთავში ავტომატურ სადგურებზე



2025 წლისთვის არ დაფიქსირებულა SO<sub>2</sub>-სა და CO-ს ზღვრულად დასაშვებ ნორმაზე გადაჭარბების არც ერთი შემთხვევა. რაც შეეხება ოზონს (O<sub>3</sub>), ქ. რუსთავში, ბათუმის ქუჩაზე მდებარე სადგურზე დაფიქსირდა 3 გადაჭარბება, ხოლო ქ. რუსთავში, N20 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ სადგურზე 6 გადაჭარბება. მიუხედავად ამისა, აღნიშნული რაოდენობა არ აღემატება 3 წლის განმავლობაში დასაშვები გადაჭარბებების ზღვარს (25 გადაჭარბება) ორივე სადგურზე. Pb-ის, Cd-ის, As-ის, Ni-ის, C<sub>6</sub>H<sub>6</sub> -ის და C<sub>20</sub>H<sub>12</sub>-ის კონცენტრაციის დადგენის მიზნით ხორციელდება მიღებული სინჯების ანალიზი.

მიზანი	გავლენის ინდიკატორი	საბაზისო	სამიზნე	მაჩვენებელი	მაჩვენებელი	მაჩვენებელი
		მაჩვენებელი 2022 წელი	მაჩვენებელი 2025 წელი	2023 წლისთვის	2024 წლისთვის	2025 წლისთვის
<b>ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება</b>	ცენტრალურ ზონაში მონიტორინგის პუნქტების რაოდენობა, სადაც უმცირესი ზომის მყარი ნაწილაკების (PM10, PM2.5) საშუალო წლიური კონცენტრაცია აჭარბებს ნორმას	1	0	1	2	2
	ცენტრალურ ზონაში მონიტორინგის პუნქტების რაოდენობა, სადაც NO <sub>2</sub> -ის საშუალო წლიური კონცენტრაცია აჭარბებს ნორმას	4	3	4	4	3
	ცენტრალურ ზონაში მონიტორინგის პუნქტების რაოდენობა, სადაც SO <sub>2</sub> -ის, CO-ს, O <sub>3</sub> -ის, Pb-ის, Cd-ის, As-ის, Ni-ის, C <sub>6</sub> H <sub>6</sub> -ის და C <sub>20</sub> H <sub>12</sub> -ის საშუალო კონცენტრაცია აჭარბებს ნორმას	0	0	0	0	0

სამოქმედო გეგმის ამოცანებიდან 2025 წელს 1.1 ამოცანის შედეგის ინდიკატორი დაახლოებით 50%-ით გაუმჯობესებულია საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით. კერძოდ, ცენტრალურ ზონაში მდებარე სტაციონარული წყაროებიდან საანგარიშო წელს გაიფრქვა დაახლოებით 9 300 ტონა მყარი ნაწილაკი. აღნიშნული ძირითადად წარმოადგენს ადგილზე არსებული სამრეწველო ობიექტების მიერ ჰაერდაცვითი მოთხოვნების უკეთ აღსრულებისა და აირმტვერდამჭერი სისტემების (ფილტრები) გამართვის შედეგს, რასაც თავის მხრივ ხელი შეუწყო სამოქმედო გეგმის აქტივობებმა. იმისთვის რომ სრულად მიღწეულ იქნას 1.1 ამოცანის შედეგის ინდიკატორი, აუცილებელია დაწესებული საკანონმდებლო რეგულაციების აღსრულების სისტემის შემდგომი გაუმჯობესება და მსხვილი საწარმოების მხრიდან გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობების შესრულება.

1.2 ამოცანას რაც შეეხება, რომელიც მიზნად ისახავს ცენტრალურ ზონაში ტრანსპორტიდან გამონაბოლქვის შემცირებას, საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით აღნიშნება მცირედი გაუმჯობესება, კერძოდ 1 ერთეულ ავტომობილზე გადათვლით აზოტის დიოქსიდის ემისიები 2024 წელს 2021 წელთან შედარებით შემცირდა 5%-ით, 9.2 კგ-დან 8.8 კგ-მდე. ამასთან, გაზრდილი სატრანსპორტო მობილობიდან გამომდინარე აღნიშნული მაჩვენებელი გაუარესებულია 2022 წელთან შედარებით. 2025 წლის მაჩვენებელი გამოითვლება 2027 წლისთვის. აზოტის დიოქსიდით დაბინძურების პრობლემის გადასაწყვეტად სამოქმედო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებულ აქტივობებთან ერთად მიმდინარეობს დამატებითი, უფრო ამბიციური აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება ეროვნულ დონეზე, რომელთა შორის აღსანიშნავია ავტომობილის ემისიის ევრო 5 სტანდარტის შემოღება.

2023-2025 წლებში საბაზისო დონესთან შედარებით ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ჰაერის დაბინძურების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების სისტემა გაუმჯობესდა, თუმცა ეს გაუმჯობესება არ ასახულა 1.3 ამოცანის შედეგის ინდიკატორზე, რადგან ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ახალი ავტომატური სადგური ქსელს დაემატა ქ. რუსთავში, სადაც საბაზისო წელსაც განთავსებული იყო სადგური. 3 ახალი სადგური შეძენილია, თუმცა მათი მონტაჟი და ამოქმედება 2026 წელს განხორციელდება, შესაბამისად, ამ ეტაპზე ამოცანა არ არის მიღწეული.


მნიშვნელოვანი პროგრესია 1.4 ამოცანის შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებლების მიმართულებით 2025 წლის მაჩვენებელი 2.7-ჯერ აჭარბებს საბოლოო მაჩვენებელს. საანგარიშო წელს გარემოსდაცვითი ცნობიერების დონის ამაღლების დონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 282-მა მონაწილემ.

ამოცანა	ამოცანის შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მაჩვენებელი 2023 წლისთვის	მაჩვენებელი 2024 წლისთვის	მაჩვენებელი საანგარიშო წლისთვის
1.1 ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის მყარი ნაწილაკებით დაბინძურების შემცირება	ცენტრალურ ზონაში სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მყარი ნივთიერებების მასა	18 340 ტონა	6 245 ტონა	8 800 ტონა	9 080 ტონა	9 300 ტონა

1.2 ცენტრალურ ზონაში ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან გამონახობლების შემცირება	ცენტრალურ ზონაში ავტოტრანსპორტიდან აზოტის დიოქსიდის (NO <sub>2</sub> ) გაფრქვევების წლიური რაოდენობა შეწონილი ავტომობილების რაოდენობასთან	9.2 კგ/ერთ	7.7 კგ/ერთ	8.5 კგ/ერთ (2022 წელი)	8.8 კგ/ერთ (2023 წელი)	8.8 კგ/ერთ (2024 წელი)
1.3 ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ჰაერის დაბინძურების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების სისტემის გაუმჯობესება	ცენტრალურ ზონაში დასახლებული პუნქტების რაოდენობა, სადაც ხორციელდება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ავტომატური მონიტორინგი	1	4	1	1	1
1.4 ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება	ცენტრალურ ზონაში ჩატარებული გარემოსდაცვითი ღონისძიებების მონაწილეთა რაოდენობა	230	500	659	1076	1358


2025 წელს სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი 27 აქტივობიდან მიმდინარეობდა 21 აქტივობის განხორციელება. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განხორციელდა სამოქმედო გეგმის აქტივობათა 48% (13 აქტივობა). აგრეთვე, საანგარიშო პერიოდის დასასრულს მეტწილად შესრულდა აქტივობების 33% (9 აქტივობა), ხოლო ნაწილობრივ შესრულდა - 11% (3 აქტივობა). არ დაწყებულა 2 აქტივობის განხორციელება. საანგარიშო პერიოდში სამოქმედო გეგმის აქტივობების განხორციელების პროგრესმა შეადგინა 76%.

გეგმის აქტივობების განხორციელების დონე 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით




ამოცანების ჭრილში განხორციელებული აქტივობების მიხედვით 1.4 ამოცანა სრულად იქნა შესრულებული, აგრეთვე მნიშვნელოვანი პროგრესი დაფიქსირდა 1.2 ამოცანის აქტივობების განხორციელების კუთხით, რომლის აქტივობები 93%-ითაა შესრულებული. 1.3 ამოცანის პროგრესმა 45% შეადგინა, რაც განპირობებულია შესაბამისი დაფინანსების მოძიების სირთულითა და დონორული დახმარების პროექტების გაჭიანურებით.

სამოქმედო გეგმის განხორციელების დონე ამოცანების კრილში




სამოქმედო გეგმის განხორციელების პროგრესი ამოცანების კრილში, %




გამახორციელებელი უწყებების კრილში ყველა აქტივობა განახორციელა მარნეულის მუნიციპალიტეტმა და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა, ასევე, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის აქტივობათა პროგრესი აღემატება 90%-ს. ნაწილობრივია შესრულებული სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსა და სსიპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის აქტივობები, რაც ძირითადად განპირობებულია დაფინანსების არარსებობითა და შესაბამისი დონორდული პროექტების განხორციელების გაჭიანურებით.

სამოქმედო გეგმის განხორციელების დონე პასუხისმგებელი უწყებების  
ჭრილში



სამოქმედო გეგმის განხორციელების პროგრესი პასუხისმგებელი  
უწყებების ჭრილში, %



საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ მნიშვნელოვან აქტივობებს შორის აღსანიშნავია ცენტრალურ ზონაში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სისტემის გაძლიერების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები. კერძოდ, განხორციელდა 469 საქმიანობის სუბიექტის 558 ინსპექტირება, მათ შორის, 67 ინსპექტირება ქ. რუსთავში. ამასთანავე, ცენტრალური ზონის მუნიციპალიტეტებმა ჩაატარეს 206 ინსპექტირება ამტვერებადი მასალის დამუშავების, განთავსებისა და ტრანსპორტირების წესების ზედამხედველობის მიზნით. ინერტული მასალების ამოღებისა და მსხვრევის საქმიანობიდან ჰაერის დაბინძურების შემცირების მიზნით, შემუშავდა სამართლებრივი აქტის პროექტი. ქ. რუსთავში ქუჩების სველი წესით დამუშავება რეგულარულად მიმდინარეობდა 30 კმ-ზე.

ცენტრალურ ზონაში ქ. რუსთავის, მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული აქტივობებიდან აღსანიშნავია, რომ 2025 წელს მოეწყობა/რეაბილიტირდა 45 რეკრეაციული ზონა, რეაბილიტირდა 178 ათას მ<sup>2</sup> გზის საფარი და

21.7 ათასი მ<sup>2</sup> ტროტუარი, მოეწყო ველობილიკები 3.1 ათას მ<sup>2</sup>-ზე მეტ ფართობზე. დაირგო 3.5 ათასზე მეტი ძირი ხე-მცენარე. დაიწყო რუსთავის ქალის ტყის აღდგენის პროექტი

საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების მიმართულებით, მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 42 გაჩერებას. ქ. რუსთავში დამონტაჟდა ელექტრომობილების დამტენი 10 მოწყობილება.

ცენტრალურ ზონაში დაიწყო საერთაშორისო მნიშვნელობის გზაზე სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის კონტროლი, ხოლო ქ. რუსთავში ავტომობილებიდან გამონაბოლქვის დადგენილ ნორმასთან შეუსაბამობის 642 ფაქტი იქნა გამოვლენილი. ავტოგასამართი სადგურიდან აღებულ იქნა დიზელის და ბენზინის 25 სინჯი საწვავის ხარისხის შემოწმების მიზნით.

ევროკავშირის პროექტის ფარგლებში შეძენილ იქნა 3 ჰაერის ხარისხის ავტომატური მონიტორინგის სადგური და მიმდინარეობს მათი განთავსება ცენტრალური ზონის შერჩეულ დასახლებებში. შეფასდა ჰაერის ხარისხის მოდელირებისა და პროგნოზირების სისტემის დანერგვისა და განხორციელებისთვის საჭირო გამოთვლითი რესურსებისა და პერსონალის საჭიროებები.

ჰაერის დაცვის საკითხებზე ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები ცენტრალური ზონის 5 სკოლაში. ორგანიზებული იქნა ესეების კონკურსი „ჩემი წილი სუფთა ჰაერი“ და ქ. რუსთავში, ჩატარდა ხეების დარგვის აქცია. ცენტრალური ზონიდან გადამზადდა 21 მასწავლებელი „გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში“ საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში.

სამრეწველო სექტორიდან მყარი ნაწილაკებით დაბინძურების პრევენციისთვის საჭიროა აქტიური საზედამხედველო საქმიანობის გაგრძელება, ხოლო გრძელვადიან პერიოდში საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის ეტაპობრივი დანერგვა. სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს აგრეთვე დაბინძურების სხვა წყაროებს. აუცილებელია ამტვერებადი მასალების დამუშავების, განთავსებისა და ტრანსპორტირების ეფექტური ზედამხედველობა და ქუჩების სველი წესით დამუშავება. ცენტრალური ზონაში ჰაერის აზოტის დიოქსიდის დაბინძურების შესამცირებლად გეგმაში არსებული აქტივობების განხორციელებასთან ერთად აუცილებელია დამატებით აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება ეროვნულ დონეზე. ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად საჭიროა ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სადგურების მონტაჟის მიმდინარე საქმიანობის დროული დასრულება. აგრეთვე, პრიორიტეტულია ჩატარდეს მყარი ნაწილაკებით დაბინძურების წილის დადგენის შესახებ კვლევა, რათა დადგინდეს ანთროპოგენული საქმიანობით გამოწვეული დაბინძურების წილი, განისაზღვროს დაბინძურების შემცირების პოტენციალი და დაიგეგმოს შესაბამისი აქტივობები.

## დეტალური პროგრესი 1.1 ამოცანასთან დაკავშირებით

**ამოცანა 1.1 - ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის მყარი ნაწილაკებით დაბინძურების შემცირება**

*პროგრესი - ამოცანის დონე:*

2025 წელს ცენტრალურ ზონაში სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მყარი ნივთიერებების მასა საბაზისო დონესთან, 2021 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად, დაახლოებით 50%-ით შემცირდა და 9 300 ტონა შეადგინა. აღნიშნული ძირითადად წარმოადგენს ადგილზე არსებული სამრეწველო ობიექტების მიერ ჰაერდაცვითი მოთხოვნების უკეთ აღსრულებისა და აირმტვერდამჭერი სისტემების (ფილტრები) გამართვის შედეგს, რასაც თავის მხრივ ხელი შეუწყო სამოქმედო გეგმის აქტივობამ, საკანონმდებლო მოთხოვნების აღსრულების მიზნით ინსპექტირების ღონისძიებების გააქტიურებამ და უწყვეტი ზედამხედველობის შესაძლებლობების გაზრდამ. ზემოაღნიშნული შემცირება ნაწილობრივ ასევე გამოწვეულია ცალკეული სამრეწველო ობიექტების მიერ ფუნქციონირების შეჩერებით. ცენტრალურ ზონაში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების უწყვეტ თვითმონიტორინგს დაქვემდებარებული 55 ობიექტიდან საანგარიშო პერიოდის მიწურულს მოქმედია 32 საწარმო, რომელთა შორის 25 საწარმოა დარეგისტრირებული სამინისტროს ელექტრონულ სისტემაში (16 - ქ. რუსთავი, 2 - გარდაბანი, 1 თეთრიწყარო, 5 - კასპი, 1 - მცხეთა).

თუმცა იმ ფონზე, რომ ფიქსირდებოდა ხარვეზები მსხვილი საწარმოების მიერ დაწესებული რეგულაციების დროული აღსრულებისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობების შესრულების კუთხით, ჰაერში მყარი ნივთიერებების გაფრქვევების დაგეგმილი შემცირება ვერ იქნა მიღწეული. 2025 წელს ჰაერში გაფრქვევების ინსტრუმენტული მეთოდით უწყვეტი თვითმონიტორინგის ვალდებულების შეუსრულებლობისთვის (ასკ მუხლი 76<sup>1</sup>) ცენტრალურ ზონაში 15 სამრეწველო ობიექტი დაჯარიმდა (მ.შ. უწყვეტ თვითმონიტორინგის ფარგლებში მონაცემების ელექტრონულ სისტემაში უწყვეტად გადმოცემის ვალდებულების დარღვევისათვის - 7 ობიექტი; უწყვეტ თვითმონიტორინგის ვალდებულების შეუსრულებლობისთვის - 8 ობიექტი). აგრეთვე, 5 საწარმო დაჯარიმდა უწყვეტ თვითმონიტორინგის ფარგლებში მავნე ნივთიერებათა ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გადამეტების გამო (ასკ მუხლი 79<sup>8</sup>, ნაწ.2 - სულ 6 შემთხვევა).


იმისთვის, რომ სრულად შევასრულოთ სამოქმედო გეგმის საკვანძო ამოცანა, საჭიროა ცენტრალურ ზონაში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ნივთიერებების მასა საბაზისო დონესთან შედარებით შემცირდეს დაახლოებით 66%-ით ნაცვლად 50%-ისა, რისთვისაც აუცილებელია მსხვილი საწარმოო ობიექტების მხრიდან დაწესებული რეგულაციების სრულად აღსრულება და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობების შესრულება, აგრეთვე, აღნიშნული ობიექტების მიერ ინვესტიციების გაღება აირმტვერდამჭერი სისტემების გამართვის, გაფრქვევების უწყვეტი თვითმონიტორინგის სისტემების დანერგვის, არაორგანიზებული გაფრქვევის წყაროების ლიკვიდაციისა და ამტვერებადი ნედლეულისა და საწარმოო ნარჩენების ღია ცის ქვეშ განთავსების პრევენციისთვის.

ამოცანა	ამოცანის შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი 2021 წელი	სამიზნე მაჩვენებელი 2025 წელი	მაჩვენებელი 2023 წლისთვის	მაჩვენებელი 2024 წლისთვის	მაჩვენებელი საანგარიშო წლისთვის
1.1 ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის მყარი ნაწილაკებით დაბინძურების შემცირება	ცენტრალურ ზონაში სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მყარი ნივთიერებების მასა	18 340 ტონა	6 245 ტონა	8 800 ტონა	9 080 ტონა	9 300 ტონა

პროგრესი - აქტივობის დონე:

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1.1 ამოცანის 8 აქტივობიდან სრულად განხორციელდა 2 აქტივობა, 5 აქტივობა შესრულდა მეტწილად, ხოლო 1 - ნაწილობრივ, აქტივობების შესრულების პროგრესმა შეადგინა 76%. აქტივობები ძირითადად განხორციელდა ადმინისტრაციული და საბიუჯეტო დაფინანსებით. სამოქმედო გეგმის ფარგლებში 1.1 ამოცანის განსახორციელებლად გამოყოფილი 63 164 999 ლარიდან საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 35 146 704 ლარი.

1.1 ამოცანის აქტივობების განხორციელების პროგრესი



2025 წელსაც გაგრძელდა ცენტრალურ ზონაში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სისტემის გაძლიერების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში ცენტრალურ ზონაში გზდ-ს მიერ განხორციელდა 469 ობიექტის 558 ინსპექტირება. მათ შორის ქ. რუსთავში, რომელიც წარმოადგენს ცენტრალური ზონის ცხელ წერტილს, ჩატარდა 49 ობიექტის 67 ინსპექტირება (1.1.3). ზონაში ჩატარდა ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი 4 სახის საქმიანობის მიზნობრივი ინსპექტირება, რომლის ფაგლებშიც შემოწმდა 189 ობიექტი. ცენტრალური ზონის მუნიციპალიტეტებმა 2025 წელსაც გააგრძელეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 152<sup>5</sup>-152<sup>9</sup> მუხლებით

გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტების ზედამხედველობა (1.1.2). ჯამში ჩატარდა 206 ინსპექტირება ქ. რუსთავში, მარნეულსა და ბოლნისში და იგი კვლავ ატარებდა პრევენციულ ხასიათს და მოხდა იმ პირების გაფრთხილება/ინფორმირება, რომელიც აწარმოებს ამტვერებადი მასალის დამუშავებას, განთავსებასა და ტრანსპორტირებას.

საანგარიშო პერიოდში 1.1 ამოცანის ფარგლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული აქტივობებიდან აღსანიშნავია, რომ ქ. რუსთავში გზის საფარის მოეწყო 54 ათას მ<sup>2</sup> ფართობზე, მარნეულის მუნიციპალიტეტში - 87.9 ათასამდე მ<sup>2</sup> ფართობზე, ხოლო ბოლნისის მუნიციპალიტეტში - 36.5 ათას მ<sup>2</sup> ფართობზე (1.1.4). დაიწყო რუსთავის ჭალის ტყის აღდგენის პროექტი, რომლის ფარგლებში ნერგების დარგვა დაგეგმილია 2026 წლისათვის (1.1.6).

ქ. რუსთავში მარტის თვიდან რეგულარულად მიმდინარეობდა ქუჩების სველი წესით დამუშავება 30 კმ სიგრძეზე (1.1.5). მარნეულის მუნიციპალიტეტში გაგრძელდა 3 საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომელიც იმუშავებს უფრო სუფთა ენერგიაზე დაფუძნებულ გათბობის სისტემაზე და ექსპლუატაციაში შევა 2026 წლიდან (1.1.8).

მყარი სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების (მსხვრევა ან/და დახარისხება) შედეგად ჰაერის დაბინძურების შემცირების მიზნით, შემუშავდა სამართლებრივი ცვლილებების პროექტი და დაგეგმილია მისი განხილვა კერძო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით (1.1.1).

### რისკები:

როგორც უკვე აღინიშნა, ამოცანის განსახორციელებლად და მისი შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებლის მისაღწევად აუცილებელია მსხვილი საწარმოო ობიექტების მხრიდან დაწესებული რეგულაციების აღსრულება, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობების შესრულება და საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების ეტაპობრივი დანერგვა, რაც მოითხოვს აღნიშნული ობიექტების მიერ ინვესტიციების გაღებას. იმ შემთხვევაში, თუკი მსხვილი სამრეწველო ობიექტები არ უზრუნველყოფენ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების სრულად შესრულებას სამოქმედო გეგმის გავლენის 1.1 ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებელიც ვერ იქნება მიღწეული და ცენტრალურ ზონის ქ. რუსთავში მტვრის უმცირესი ნაწილაკების საშუალო წლიური კონცენტრაცია ვერ მოექცევა ნორმის ფარგლებში.

აქტივობების დონეზე აუცილებელია გაგრძელდეს და რეგულარულად განხორციელდეს მყარი ნაწილაკებით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით ცენტრალური ზონის ცხელ წერტილში - ქ. რუსთავში ქუჩების სველი წესით დასუფთავება (1.1.5). ასევე, საჭიროა განხილულ იქნას ინერტული მასალების ამოდებისა და მსხვრევის სექტორში დამატებითი რეგულაციის დაწესების მიზანშეწონილობის საკითხი აღნიშნული სექტორის წარმომადგენლების ჩართულობით (1.1.1). დროულად უნდა მოხდეს ინვესტიციების მოძიება სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის საფუძველზე რუსთავის ჭალის ტყის განსავითარებლად (1.1.6).

### შემდგომი ნაბიჯები:

შემუშავდება ცენტრალური ზონისთვის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის ახალი გეგმა, რომლის ფარგლებში დაიგეგმება დამატებითი აქტივობები მყარი ნაწილაკების გაფრქვევების შესამცირებლად. ამასთან გაგრძელდება 1.1 ამოცანის ფარგლებში გეგმით გათვალისწინებული დაუსრულებელი აქტივობების განხორციელება. კერძოდ:

- გაგრძელდება სამრეწველო ობიექტების და ამტვერებადი სამშენებლო მასალების შენახვა-დისტრიბუციის პროცესის ინსპექტირება;
- განისაზღვრება და დაწესდება კონკრეტული, სავალდებულოდ შესასრულებელი ქმედებები ინერტული მასალების ამოღებისა და მსხვრევის საქმიანობიდან ჰაერის დაბინძურების შემცირების მიზნით;
- გაგრძელდება მწვანე ინფრასტრუქტურული სამუშაოები;
- სამრეწველო ზონის მიმდებარედ ქუჩების სველი წესით დამუშავება განხორციელდება რეგულარულად.

## დეტალური პროგრესი 1.2 ამოცანასთან დაკავშირებით

**ამოცანა 1.2 - ცენტრალურ ზონაში ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან დაბინძურების შემცირება**

### პროგრესი - ამოცანის დონე:

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების ინვენტარიზაციის 2026 წლის ანგარიშის საფუძველზე დაკორექტირდა საბაზისო, საბოლოო და 2022 წლის მაჩვენებლები მათ შორის პროპორციული განსხვავების შესაბამისად. ამ ეტაპზე ხელმისაწვდომია ამოცანის შედეგის ინდიკატორის მაჩვენებელი 2024 წლისათვის. 2025 წლის მაჩვენებელი გამოითვლება 2027 წლისთვის.

2024 წელს ცენტრალურ ზონაში ავტოსატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა ერთ წელიწადში 1.1%-ით გაიზარდა, ხოლო საბაზისო 2021 წელთან შედარებით 18.3%-ით. ამასთან, ავტომობილთა რაოდენობაზე შეწონილი აზოტის ოქსიდების გაფრქვევები საბაზისო 2021 წელთან შედარებით შემცირდა 9.2 კგ-დან 8.8 კგ-მდე, რაც მიღწეულია ავტოპარკში სუფთა ავტომობილების (ჰიბრიდები, ელექტრო) წილის ზრდით. სამიზნე მაჩვენებლის მისაღწევად საჭიროა 2025 წელს დამატებით 1.1 კგ-ით შემცირდეს ავტომობილთა რაოდენობაზე შეწონილი აზოტის ოქსიდების გაფრქვევები, რაც ნაკლებ სავარაუდოა მზარდი ავტოპარკის გათვალისწინებით.


2025 წელს საბაზისო 2021 წელთან შედარებით ცენტრალურ ზონაში ავტოსატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა 17%-ით, 245 ათასიდან 287 ათასამდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ 2024 წელთან შედარებით გაიზარდა ზონაში სუფთა ავტომობილების (ჰიბრიდები, ელექტრო) რაოდენობა დაახლოებით ათასი ერთეულით და 2025 წელს ავტოპარკში სუფთა ავტომობილების წილმა ნაცვლად 5.9%-ისა 6.3% შეადგინა.

აზოტის დიოქსიდით დაბინძურება ურბანულ დასახლებებსა და საავტომობილო მაგისტრალებთან რჩება ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად ცენტრალური ზონაში და ზოგადად ქვეყანაში, რაზეც მოწმობს ცენტრალურ ზონაში ჩატარებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ინდიკატორული გაზომვები შედეგები. როგორც უკვე აღინიშნა, აზოტის დიოქსიდის (NO<sub>2</sub>) საშუალო წლიური კონცენტრაცია 3 დაკვირვების პუნქტზე აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმას. აზოტის დიოქსიდით დაბინძურების პრობლემის გადასაწყვეტად სამოქმედო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებულ აქტივობებთან ერთად საჭიროა დამატებითი, უფრო ამბიციური აქტივობების დაგეგმვა და დროული განხორციელება ეროვნულ დონეზე. ამ მხრივ აღსანიშნავია ავტომობილის ემისიის ევრო 5 სტანდარტის შემოღება, რომელიც 2025 წლის 1 იანვრიდან სრულად შევიდა ძალაში. აგრეთვე, დაგეგმილია საქართველოში 6 წელზე მეტი ასაკის ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვა.

ამოცანა	ამოცანის შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი 2021 წელი	სამიზნე მაჩვენებელი 2025 წელი	მაჩვენებელი 2022 წლისთვის	მაჩვენებელი 2023 წლისთვის	მაჩვენებელი 2024 წლისთვის
1.2 ცენტრალურ ზონაში ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან გამონახობის შემცირება	ცენტრალურ ზონაში ავტოსატრანსპორტიდან აზოტის დიოქსიდის (NO <sub>2</sub> ) გაფრქვევების წლიური რაოდენობა შეწონილი ავტომობილების რაოდენობასთან	9.2 კგ/ერთ	7.7 კგ/ერთ	8.5 კგ/ერთ	8.8 კგ/ერთ	8.8 კგ/ერთ

პროგრესი - აქტივობის დონე:

1.2 ამოცანის 8 აქტივობიდან (1.2.5 აქტივობა განხორციელდა 2023 წელს) 2025 წელს 5 აქტივობა სრულად, 3 კი მეტწილად შესრულდა. აქტივობების შესრულების პროგრესმა შეადგინა 93%. აქტივობები განხორციელდა ადმინისტრაციული და საბიუჯეტო ხარჯებით. სამოქმედო გეგმის ფარგლებში 1.2 ამოცანის განსახორციელებლად გამოყოფილი 22 156 300 ლარიდან საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 9 922 528 ლარი.



საანგარიშო პერიოდში განხორციელებული აქტივობებიდან აღსანიშნავია, ცენტრალურ ზონაში ახალი რეკრეაციული ზონების შექმნა და არსებული რეკრეაციული ზონების რეაბილიტაცია (1.2.9). კერძოდ, ქ. რუსთავში მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 22 რეკრეაციულ ზონას, ხოლო მარნეულის მუნიციპალიტეტში 23 რეკრეაციულ ზონას. ქ. რუსთავში დაირგო 3220 ერთეული ხე-მცენარე (1.2.8).

ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან გამონაბოლქვის შემცირების ხელშეწყობის კუთხით აღსანიშნავია, რომ 2025 წლიდან ცენტრალურ ზონაში საერთაშორისო მნიშვნელობის გზაზე (გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოსთან) დაიწყო სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებების საგზაო ინსპექტირება, რაც მოიცავს გამონაბოლქვის კონტროლის კომპონენტსაც (1.2.6). 2025 წელს ქ. რუსთავში ავტომობილებიდან გამონაბოლქვის დადგენილ ნორმასთან შეუსაბამობის 642 ფაქტი იქნა გამოვლენილი (აქტივობა 1.2.5). ცენტრალურ ზონის ავტოგასამართი სადგურიდან აღებულ იქნა დიზელის და ბენზინის 25 სინჯი საავტომობილო საწვავის ხარისხის შემოწმების მიზნით (1.2.7).

გადაადგილების ალტერნატიული საშუალებების განვითარების მიმართულებით საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი წინსვლა დაფიქსირდა ქ. რუსთავში. კერძოდ, ფეხით გადაადგილების ინფრასტრუქტურა გაუმჯობესდა 17 700 მ<sup>2</sup> ფართობზე (1.2.1), ხოლო ველობილიკები მოეწყო 3 144 მ<sup>2</sup> ფართობზე (1.2.2). მოხდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის 12 ახალი გაჩერების მონტაჟი, ხოლო 29 გაჩერება რეაბილიტირებულ იქნა (1.2.3). ქალაქში დამონტაჟდა 10 ერთეული ელექტრომობილების დამტენი მოწყობილება (1.2.4).

#### რისკები:

აზოტის დიოქსიდის ნორმაზე გადაჭარბებული კონცენტრაციის მიზეზია მოძველებული ავტოპარკი და ავტომობილების მზარდი რაოდენობა. ცენტრალურ ზონაში ავტოპარკის განახლების პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობს. როგორ უკვე აღინიშნა, პრობლემის მოსაგვარებლად ცენტრალურ ზონაში განსახორციელებელ აქტივობებთან ერთად საჭიროა გაგრძელდეს დამატებითი აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება ეროვნულ დონეზე, რომელიც ერთი მხრივ უზრუნველყოფს არსებული ავტოპარკის ტექნიკურ გამართულობას, ხოლო მეორე მხრივ, ახალ ავტომობილებში გაზრდის უფრო სუფთა და ახალი ავტომობილების წილს. ასევე საჭიროა გაგრძელდეს/გაფართოვდეს ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვის გზებზე კონტროლი, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან ღონისძიებას ავტოტრანსპორტიდან დაბინძურების შესამცირებლად.

#### შემდგომი ნაბიჯები:

შემუშავდება ცენტრალური ზონისთვის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის ახალი გეგმა, რომლის ფარგლებში დაიგეგმება დამატებითი აქტივობები ავტოტრანსპორტის სექტორიდან დაბინძურების შესამცირებლად.

## დეტალური პროგრესი 1.3 ამოცანასთან დაკავშირებით

ამოცანა 1.3 - ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ჰაერის დაბინძურების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების სისტემის გაუმჯობესება


*პროგრესი - ამოცანის დონე:*

2025 წელს საბაზისო დონესთან შედარებით ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ჰაერის დაბინძურების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების სისტემა გაუმჯობესდა, თუმცა ეს გაუმჯობესება არ ასახულა 1.3 ამოცანის შედეგის ინდიკატორზე, რადგან ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ახალი ავტომატური სადგური ქსელს დაემატა ქ. რუსთავში, სადაც საბაზისო წელსაც განთავსებული იყო სადგური.

ამოცანა	ამოცანის შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი 2022 წელი	სამიზნე მაჩვენებელი 2025 წელი	მაჩვენებელი 2023 წლისთვის	მაჩვენებელი 2024 წლისთვის	მაჩვენებელი საანგარიშო წლისთვის
1.3 ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ჰაერის დაბინძურების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების სისტემის გაუმჯობესება	ცენტრალურ ზონაში დასახლებული პუნქტების რაოდენობა, სადაც ხორციელდება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ავტომატური მონიტორინგი	1	4	1	1	1

*პროგრესი - აქტივობის დონე:*

1.3 ამოცანის ფარგლებში დარჩენილი 5 აქტივობიდან (2 აქტივობა განხორციელდა 2023-2024 წლებში) 1 შესრულდა მეტწილად, 2 შესრულდა ნაწილობრივ, ხოლო 2 აქტივობა არ დაწყებულა შესაბამისი დაფინანსების არარსებობის გამო. შესრულების პროგრესმა შეადგინა 45%. აქტივობების განსახორციელებლად გათვალისწინებული 3 441 951 ლარიდან საანგარიშო წელს დაიხარჯა 1 635 143 ლარი.



საანგარიშო პერიოდში ევროკავშირის დაფინანსებით გაგრძელდა მოსამზადებელი სამუშაოები ცენტრალურ ზონაში ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ახალი ავტომატური სადგურების და გრავიმეტრიული ხელსაწყოების განთავსებისთვის, აგრეთვე ჰაერის ხარისხის მოდელირების სისტემის დასანერგად. საანგარიშო პერიოდში ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით შეძენილ იქნა ქ. გორში, ქ. ბოლნისსა და სოფელ თაზაქენდში განსათავსებელი ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ახალი ავტომატური სადგურები. მიმდინარეობდა სადგურის განთავსებისთვის მოძიებული ადგილების სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს კუთვნილებაში გადმოცემა. აგრეთვე, საანგარიშო პერიოდში ევროპელმა ექსპერტებმა ჩაატარეს კვლევა და მოამზადეს ანგარიში, რომელშიც განსაზღვრულია ჰაერის ხარისხის მოდელირების სისტემის დანერგვისა და განხორციელებისთვის საჭირო გამოთვლითი რესურსებისა და პერსონალის საჭიროებები (1.3.1; 1.3.2; 1.3.3).

ფინანსური რესურსების დეფიციტმა და შესაბამისი ექსპერტიზის დეფიციტმა მნიშვნელოვნად შეზღუდა/გადაავადა ამოცანით განსაზღვრული აქტივობების განხორციელების შესაძლებლობა. ამ მიმართულებით პროგრესის მიღწევა დამოკიდებულია საერთაშორისო დონორული დაფინანსების მოპოვებასა და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობაზე.

#### რისკები:

ვინაიდან 1.3 ამოცანის ფარგლებში გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება დამოკიდებულია დონორულ დახმარებაზე, საჭიროა შესაბამის მხარდაჭერის პროექტებში გეგმით გათვალისწინებული აქტივობების პრიორიტიზაცია და მათი დროული განხორციელება. აგრეთვე, დამატებითი დაფინანსების მოძიება და პასუხისმგებელი უწყებების შესაძლებლობების გაძლიერება.

#### შემდგომი ნაბიჯები:

1.3 ამოცანის ფარგლებში დონორული მხარდაჭერით განხორციელდება გეგმით გათვალისწინებული შემდეგი აქტივობები:

- გაფართოვდება ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელი და ავტომატური სადგურები განთავსდება და ამოქმედდება ქ. ბოლნისში, ქ. გორსა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ თაზაქენდში;
- შემუშავდება ცენტრალური ზონის ჰაერის ხარისხის მოდელი;

ქ. რუსთავში მყარი ნაწილაკებით დაბინძურების წილის დადგენის შესახებ კვლევის ჩატარება და ჰაერის დაბინძურების მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების ინდიკატორების კომპენდიუმის შემუშავება დამოკიდებულია დაფინანსების მოძიებაზე.

